პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 26 (9494) | შაბათი, 31 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

# სრულად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები

საბჭოთა ხალხი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად სტალინურ პროგრამას. ამას საუკეთესოდ ადასტურებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ახლახან გამოქვეყნებული ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდების საქმეში მოპოვებული ყველა ის მიღწევა, რაც ამ ცნობაშია აღნიშნული, პირდაპირი შედეგია მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და უკეთესად აღჭურვისა, აგრეთვე ახალ საწარმოთა მშენებლობისა. მარტო 1946-1951 წლებში ჩვენს ქვეყანაში აღდგენილია ან ახლად აშენდა და ამუშავდა ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით მოწყობილი 7.000 დიდი საწარმო, ხოლო მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები ამავე წლებში ომამდელ პერიოდთან შედარებით 77 პროცენტით გადიდდა.

1952 წელს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვა, მოწყობილობის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული ამ მხრივ შავ მეტალურგიაში, ნავთობის ამოღება-გადამუშავებაში, სამთამადნო, მათ შორის პირველ რიგში „მრეწველობის პურის“ — ქვანახშირის ამოღებაში, ელექტროენერგიის გამომუშავებაში, ბამბის ქსოვილების, აბრეშუმის, ტრიკოტაჟისა და მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგებში.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის მუშაკთა წინაშე უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. ამხანაგი გ. მ. მალენკოვი საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნავდა: „ჩვენს მრეწველობას აქვს დასახული ამოცანების განხორციელების ყველა შესაძლებლობა. ახლა მრეწველობის ყველა დარგი აღჭურვილია უფრო სრულყოფილი ტექნიკით, მას ჰყავს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიციური კადრები, საწარმოები არ განიცდიან ნედლეულისა და მასალების ნაკლებობას. ახლა საქმე ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში, გამოვავლინოთ წარმოების გამოუყენებელი რეზერვები და გადავაქციოთ ისინი სახალხო მეურნეობის აღმავლობის მძლავრ წყაროდ“.

წარმოების გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინება შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი აღმავლობის საწინდარია, ხოლო **„შრომის ნაყოფიერება, — გვასწავლიდა დიდი ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველ წლებში, — ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“.**

1953 წლისათვის სოციალისტური მრეწველობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ეკისრებათ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს. მათი პატრიოტული ღირსების საქმეა ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა წლიური საწარმოო დავალებების ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შესრულებისათვის, გამოავლინონ წარმოების ყველა „ფარული“ რეზერვი, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად.

ცნობილია, რომ საწარმოო გეგმების შესრულების მთავარი ბერკეტია შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა ახალი ტექნიკის უნარიანად გამოყენება, დანადგართა სრული სიმძლავრეების ათვისება, გაცდენის აღმოფხვრა. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერჯერობით სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკურ ქარხანაში შარშან სამი კვარტალის განმავლობაში სახარატო ჩარხები გამოყენებული იყო მხოლოდ 74,6 პროცენტით, სარანდავი დაზგები — 40 პროცენტით, ხოლო მთლიანად ქარხნის ყველა ტექნიკური დანადგარი — 50 პროცენტით. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროში დანადგართა ხშირი გაცდენის შედეგად წლიური გეგმის შესრულებაში დიდად ჩამორჩნენ. აქ დადგმულობათა გაცდენამ 34 პროცენტს მიაღწია. ისეთ მოწინავე საწარმოშიც კი, როგორიც თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანაა, სადაც 1952 წლის გეგმა წარმატებით შეასრულეს, მანქანა-დანადგარის საპროექტო სიმძლავრე გასული წლის სამ კვარტალში სანახევროდაც არ იყო ათვისებული. ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი შესაძლებლობანი აქვთ ჩვენი საწარმოების კოლექტივებს წარმოების შემდგომი გადიდების, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების მისაღწევად.

შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ახალი ტექნიკის სრულად ათვისებას ბევრ საწარმოში და მშენებლობაზე აფერხებს შრომის მოუწესრიგებლობა, ტექნიკური დანორმვის არადამაკმაყოფილებლად დაყენება. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სადაც ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხვედრითი წონა შარშან სამ კვარტალში მხოლოდ 18,6 პროცენტს შეადგენდა, საქსოვ დანადგართა გაცდენას ადგილი ჰქონდა არა მარტო შარშან, არამედ წელსაც. ასევეა ბათუმის ფეხსაცმლისა და თბილისის ბამბის ძაფსართავ ფაბრიკებში. საჭიროა ამ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაკებმა, რომლებიც მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, ბრძოლას წარმოების რეზერვების გამოსავლინებლად, მთელი მონდომებით იმუშაონ მათ წინაშე დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში აურაცხელია. ამოცანა ახლა ის არის, რომ გამოვავლინოთ, ავამოძრაოთ ეს რეზერვები, უზრუნველვყოთ მძლავრი ტექნიკის სრულად გამოყენება, მოვაწესრიგოთ შრომა ყველა სამუშაო ადგილზე, ბრიგადაში, ყველა საწარმოო უბანზე, მეტი ყურადღება დავუთმოთ საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას, ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას.

ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა ყველა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის უზრუნველყოფა, წარმოების შემდგომი სწრაფი ზრდის რეზერვების გამოსავლინებლად მუშაობის გაძლიერება.

## ორთაჭალჰესის მშენებელთა მორიგი გამარჯვება

გუშინ, 30 იანვარს, ორთაჭალჰესის მშენებლობის სამმართველოში სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროდან და ელექტროსადგურთა მუშაკების პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტიდან მიიღეს ცნობა, რომ 1952 წლის მეოთხე კვარტალში სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლებს შორის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარებულია ორთაჭალჰესის მშენებელთა კოლექტივი (მშენებლობის უფროსი, ინჟინერი გ. ჩოგოვაძე, მთავარი ინჟინერი ი. მღებრიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ინჟინერი მ. ნემსაძე, მშენებელთა კომიტეტის თავმჯდომარე თ. ქუთათელაძე).

ორთაჭალჰესის მშენებლებმა 1952 წლის მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულება უზრუნველყვეს ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით. ამის გამო მათ სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტრომ და ელექტროსადგურების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუტოვეს წინათ მოპოვებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიაკუთვნეს პირველი ფულადი პრემია 118.000 მანეთის რაოდენობით.

ეს ზედიზედ მეშვიდედ არის, რომ ორთაჭალჰესის მშენებლებმა შეინარჩუნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებელ კოლექტივებთან შეჯიბრებაში.

---

ქ. თბილისის № 143 საარჩევნო ოლქი

## ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი

### რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 143 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე თავი მოიყარეს მოლოტოვის რაიონის საწარმო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სხდომას ხსნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. თ. ლექავა.

— საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის თანამებრძოლმა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა, — ამბობს ამხ. ლექავა, — დიდი პატივი დაგვდო — დათანხმდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს ოლქში.

— ეს დიდი ნდობა გვავალებს, — განაგრძობს ამხ. ლექავა, — უფრო მეტი თავდადებით ვიბრძოლოთ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი სტალინის ახალი გენიალური შრომის ღრმად შესწავლისათვის, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით განაღდებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელი ამხ. მ. არარატოვა თხოვს საოლქო საარჩევნო კომისიას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხ. გ. მ. მალენკოვი.

— ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი ამაყობს იმით, — თქვა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ვაინშტეინმა, — რომ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მან დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხ. გ. მ. მალენკოვი. მუშები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

— ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები, — ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ამხ. ნ. ბექაური, — დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სასიხარულო ცნობას, რომ ამხ. მალენკოვი დათანხმდა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებაში ნათქვამია:

რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დასახელებული თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრების მიერ, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 143 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი საარჩევნო ბიულეტენში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 143 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

---

ქ. თბილისის № 112 საარჩევნო ოლქი

## ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

### რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

29 იანვარი დიდი სიხარულის დღე იყო საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივისათვის. აქ მიიღეს ცნობა, რომ დიდი სტალინის თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია თანახმაა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 112 საარჩევნო ოლქში.

დღის 4 საათზე შედგა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ე. ქათამაძემ განაცხადა:

— უდიდეს აღფრთოვანებას განიცდიან თბილისის მშრომელები იმის გამო, რომ ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი მშობლიური სტალინი თანახმაა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 57 საარჩევნო ოლქში. ამ აღფრთოვანებას შეუერთდა ახალი სიხარული — დიდი სტალინის თანამებრძოლმა ამხანაგმა ბერიამ თანხმობა მოგვცა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 112 საარჩევნო ოლქში. **(ხანგრძლივი ტაში).**

სიტყვა პირველმა აიღო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ ამხ. პ. თავხელიძემ. იგი ამბობს:

— ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ დიდი ნდობა გამოგვიცხადა: დათანხმდა საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 112 საარჩევნო ოლქში. ამხანაგ ბერიას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მშრომელთა წინაშე. მის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების აყვავება.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსმა ამხ. ბ. სალუქვაძემ ილაპარაკა ამხანაგ ბერიას დიდ დამსახურებაზე ლენინ — სტალინის პარტიის წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე და სთხოვა კომისიის წევრებს რეგისტრაციაში გაატარონ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას კანდიდატურა.

მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. კ. ივანოვმა, მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგემ ამხ. ს. მიქაძემ, სამშენებლო ფაკულტეტის ფრიადოსანმა სტუდენტმა ამხ. ქ. ცინცაძემ.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა:

რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, დასახელებული საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 112 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია საარჩევნო ბიულეტენში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 112 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

---

ქ. თბილისის № 70 საარჩევნო ოლქი

## ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი

### რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

29 იანვარს მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კლუბში შედგა თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 70 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ხითურიძემ.

— დღეს ჩვენი ოლქის ამომრჩევლებს დიდი სიხარული ეწვია, — ამბობს ამხ. გ. ხითურიძე. — დიდი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სარემონტო საამქროს ინჟინერმა ო. გაბრიჩიძემ განაცხადა:

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივისათვის დიდი ნდობაა ის, რომ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა თანხმობა განაცხადა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხ. ნ. ა. ბულგანინი.

— ამხანაგ ნ ა. ბულგანინის თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 70 საარჩევნო ოლქში, — თქვა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორმა ნ. თუშიშვილმა, — გვავალებს მთელი ჩვენი ძალები დავრაზმოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება:

რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი, დასახელებული თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის „საბჭოთა საქართველოს“ მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრების, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმისა და ლითონკონსტრუქციების ქარხნის მშრომელთა საერთო კრებების მიერ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 70 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი საარჩევნო ბიულეტენში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 70 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

---

ქ. თბილისის № 61 საარჩევნო ოლქი

## ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი

### რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ცნობამ იმის შესახებ, რომ დიდი ბელადისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ ამხანაგმა კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 61 საარჩევნო ოლქში, დიდი სიხარული გამოიწვია ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შორის.

29 იანვარს, დღის 3 საათზე გაიმართა № 61 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფანჩიკიძემ.

— დღეს № 57 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, მთელი თბილისის მშრომელები, — ამბობს იგი, — დიდ სიხარულს განიცდიან. დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა მშობლიურმა სტალინმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 57 საარჩევნო ოლქში.

ამ ცნობას სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით ეგებებიან.

— ამხანაგებო, — განაგრძობს იგი, — ნება მომეცით გაუწყოთ კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა. დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მშენებელმა ამხანაგმა კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი ამხ. გ. მამაჯანოვი.

— გამოვხატავ რა ჩვენი ქარხნის კოლექტივისა და ყველა აქ დამსწრეთა სურვილს, — ამბობს იგი, — ვთხოვ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის კანდიდატურა.

ამავე ქარხნის დამამზადებელი საამქროს ოსტატმა ამხ. ბ. ფხოველიშვილმა განაცხადა: ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე, გვავალებს უკეთესად ვიმუშაოთ, ახალი წარმატებანი მოვიპოვოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საარჩევნო კომისიამ ერთსულოვნად დაადგინა:

რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დასახელებული 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრების მიერ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 61 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი საარჩევნო ბიულეტენში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 61 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

---

ქ. თბილისის № 343 საარჩევნო ოლქი

## ამხანაგი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი

### რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 343 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. აბაშიძემ. მან დამსწრეთ აცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩმა თანხმობა განაცხადა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს საქალაქო საბჭოს არჩევნების № 343 საარჩევნო ოლქში.

სხდომის დამსწრენი სიხარულით შეხვდნენ ამ ცნობას.

სიტყვა პირველმა აიღო აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს უფროსმა ამხ. ა. სიამაშვილმა.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, — თქვა მან, — უსაზღვროდ მოხარულია, რომ მის მიერ დასახელებული დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი ლ. მ. კაგანოვიჩი თანახმაა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 343 საარჩევნო ოლქში. ამ დიდ ნდობას ჩვენი კოლექტივი თავდადებული შრომით გაამართლებს.

სხდომაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ა. ზაქარეიშვილმა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ინსტრუქტორმა ამხ. გ. რაჭველიშვილმა.

არჩევნების დებულების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა:

რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დასახელებული თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა, ქიმიურ-ფარმაცევტული, ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების და საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მიერ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 343 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი საარჩევნო ბიულეტენში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 343 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

---

ქ. თბილისის № 237 საარჩევნო ოლქი

## ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე

### რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ხელოვნების მუშაკთა სახლში 29 იანვარს შედგა თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 237 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შ. ჯიბლაძემ.

— ნება მომეცით, — ამბობს ის, — გაუწყოთ სასიხარულო ცნობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ თანხმობა განაცხადა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ამ ცნობას სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

სიტყვას იღებს პროფესორი მ. ჩიქოვანი.

— მეცნიერებათა აკადემიის მთელი კოლექტივი, — ამბობს ის, — განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ ამხანაგი ა. ი. მგელაძე თანახმაა კენჭი იყაროს საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს ოლქში.

ამხანაგი ა. ი. მგელაძე სტალინური ტიპის მოღვაწეა. დარწმუნებული ვარ, ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას ამხ. ა. ი. მგელაძეს.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ინჟინერი კ. რამინიშვილი ლაპარაკობს ამხ. ა. ი. მგელაძის დამსახურებაზე პარტიისა და საქართველოს მშრომელთა წინაშე.

— ამხანაგ ა. ი. მგელაძის თანხმობა, — ამბობს იგი, — გვავალებს ვიყოთ ჩვენს საქმეში მოწინავენი, ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს ლენინ — სტალინის პარტიის, ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

№ 5 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბ. სიხარულიძემ განაცხადა, რომ 22 თებერვალს უბნის ყველა ამომრჩეველი დიდი სიხარულით მივა საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემს საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელს ამხანაგ ა. ი. მგელაძეს.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე თეატრალური საზოგადოების მუშაკმა ლ. დოლიძემ.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების საფუძველზე საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება:

რეგისტრირებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ა. ი. მგელაძე, დასახელებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა, აკადემიის ნამდვილ წევრთა, წევრ-კორესპონდენტთა, მეცნიერ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 237 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე საარჩევნო ბიულეტენში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 237 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მგელაძე
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

# პარტიული მუშაკის იდეურობის შესახებ

სტატია დაბეჭდილია „პრავდაში“, 30/I

კომუნისტური პარტია მმართველი პარტიაა, ხოლო მისი კადრები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა. კომუნისტური მშენებლობის საქმეს რომ წარმატებით უხელმძღვანელონ, პარტიის კადრები მუდამ უნდა იყვნენ თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე, უნდა იჩენდნენ მაღალ იდეურობას მუშაობაში. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც ი. ბ. სტალინმა შეიმუშავა თავის გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, დღითიდღე იზრდება მოთხოვნები კადრებისადმი, პარტიის მუშაკებისადმი მათი იდეურ-თეორიული მომზადების თვალსაზრისით.

„მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში“.

მუშაკების იდეური დონის, მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის ამაღლება პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა.

პარტიული მუშაკის მაღალი იდეურობა უნდა ჩანდეს ყველგან, და უწინარეს ყოვლისა მუშაობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მუშაკის იდეურობა იმით მოწმდება, თუ როგორ ახორციელებს იგი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები. იდეურმა მუშაკმა თავისი მუშაობა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ამოცანებს უნდა დაუქვემდებაროს. მას აქვს მახვილი პოლიტიკური ალღო, სიფხიზლე, პრინციპულობა, შეურიგებლობა მუშაობის ნაკლოვანებებისადმი. მხოლოდ ღრმა იდეურობას შეუძლია აიყვანოს ჩვენი კადრები ხალხისადმი ნამდვილი, თავდადებული სამსახურის სიმაღლეზე, როგორც ამას პარტია მოითხოვს.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია პარტიის ყველაზე ძლიერი იარაღია კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვინც უნარიანად ახამებს პრაქტიკულ მუშაობასა და თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, ვინც ყოველდღიურად იწრთობა პოლიტიკურად, ის ყველაზე მეტ წარმატებებს აღწევს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მისთვის მინდობილ უბანზე. ჩვენი პარტიული მუშაკების დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ბეჯითობა თეორიის დაუფლებაში, მუდმივი მისწრაფება — შეიძინოს ცოდნა, გამდიდრდეს პარტიის ისტორიული გამოცდილებით.

მაგრამ ჩვენ გვყავს ისეთი მუშაკებიც, რომლებიც არ მუშაობენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე, გაურბიან თეორიას. ისინი ჩვეულებრივ იმიზეზებენ იმას, რომ გადატვირთული არიან მიმდინარე მუშაობით. მაგრამ ვერც ერთი პარტიული მუშაკი ხომ წარმატებით ვერ უხელმძღვანელებს მიმდინარე მუშაობას, თუ არ იზრდება თეორიულად, იდეურად. მუშაკების სუსტი იდეური შეიარაღება, სუსტი პოლიტიკური წრთობა მათ მიერ მუშაობაში შეცდომებისა და ჩავარდნების დაშვების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ასეთი მუშაკების თავსა და საქმეებში დომხალია გამეფებული.

გურჯაანის რაიონში გამოვლინებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევები, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცება და განიავება, საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის საკითხებში პარტიის ხაზის დამახინჯება. გამოირკვა, რომ ეს შემთხვევითი როდი იყო. რაიკომის მდივანი ამხ. ფეიქრიშვილი სრულიად უზრუნველად, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა პარტიის წესდების მოთხოვნას მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლების შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა პარტიული მუშაკების იდეურ-თეორიული დონის განუხრელი ამაღლება. იდეოლოგიური მუშაობა რაიონში მივიწყებული იყო. გასაკვირველი როდია, რომ ამხ. ფეიქრიშვილმა სწორი პოლიტიკური შეფასება ვერ მისცა იმას, რაც რაიონში ხდებოდა, ბევრი შეცდომა ჩაიდინა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ბოლოს იგი როგორც ხელმძღვანელი პოლიტიკურად გაკოტრდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ახლო წარსულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯეროვნად ვერ აფასებდა იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობას, იჩენდა უზრუნველობას ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის ხელმძღვანელი კადრების, ყველა კომუნისტის იდეური დონის ამაღლება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თავის მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომები წარმოიშვა და გაღრმავდა იმის შედეგად, რომ უყურადღებოდ იყო მიტოვებული იდეოლოგიური მუშაობა, დამაკმაყოფილებლად არ იყო დაყენებული პარტიული აქტივის თეორიული სწავლა.

განუხრელად ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი საქმიანობის ყურადღების ცენტრში დააყენა იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, იბრძვის იმისათვის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გააუმჯობესონ პარტიული განათლების საქმე.

მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიული აქტივი ჩაბმულია თეორიულ სწავლაში. სამასზე მეტი კაცი სწავლობს რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში და ამავე სკოლასთან არსებულ ცხრათვიან კურსებზე, 150-მდე კაცი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელია, ორი ათასზე მეტი კაცი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში. ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან მოწყობილია საღამოს პარტიული სკოლები, რომლებშიც მეცადინეობს 2.381 კომუნისტი. პარტიული აქტივის სემინარებში სწავლობს ხუთი ათასამდე ხელმძღვანელი მუშაკი.

ასრულებს რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, გაძლიერდეს ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ. რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარები, რომლებშიც პირველწყაროების მიხედვით სწავლობენ პარტიის თეორიასა და ისტორიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს და პოლიტიკურ ეკონომიას. ამ სემინარებში ღრმად სწავლობენ ი. ბ. სტალინის კლასიკურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

წარმოებს მრავალმხრივი მუშაობა, რათა პარტიულ აქტივს გაეწიოს დახმარება შესანიშნავი სტალინური ნაწარმოების ღრმად შესწავლაში. მოეწყო რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნების ათდღიანი სემინარები ი. ბ. სტალინის შრომისა და პარტიის XIX ყრილობის მასალების შესასწავლად, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების სამდღიანი სემინარები და საოლქო და საქალაქო კომიტეტების შტატის ლექტორების ხუთდღიანი სემინარები. რესპუბლიკაში გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა.

ყველა ამ ღონისძიებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ დროს პარტიულ სამუშაოზე დაწინაურებულია ძალიან ბევრი ახალი ადამიანი, უმთავრესად სპეციალისტები — ინჟინრები, აგრონომები, ეკონომისტები, იურისტები, მეცნიერი მოღვაწეები. მარტო გასულ წელს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნებად, განყოფილებათა გამგეებად არჩეულ და დაწინაურებულ იქნა 427 ახალი მუშაკი.

ზოგიერთი ამხანაგი უმართებულოდ ფიქრობს, რომ რაკი კაცმა უმაღლესი განათლება მიიღო, მას აღარ ესაჭიროება იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. ეს ამხანაგები ივიწყებენ, რომ უმაღლესი განათლების მქონე ყველა მუშაკი როდია იდეურად მომზადებული, პოლიტიკურად გამოწრთობილი.

მაღალიდეური ადამიანი არა მარტო კარგად ერკვევა თეორიაში, არამედ წარმატებითაც იყენებს მას პრაქტიკულ საქმიანობაში. იმის შეგნება, რომ იგი იბრძვის კეთილშობილური და დიადი კომუნისტური იდეალებისათვის, ასულდგმულებს მის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობას. პოლიტიკურად მომზადებულ მუშაკს სიძნელეები კი არ აშინებს, იარაღს კი არ აყრევინებს, არამედ, პირიქით, უნერგავს მისწრაფებას გადალახოს ეს სიძნელენი. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება პარტიულ მუშაკს ჰორიზონტს უფართოებს, შესაძლებლობას აძლევს უხელმძღვანელოს კონკრეტულად, საგნობრივად. იდეური ადამიანი უძრაობის, რუტინის მტერია, იგი მუდამ მტკიცედ იცავს ახალს, პროგრესულს, მოწინავეს. მისი დამახასიათებელი ნიშანია მუდმივი მისწრაფება — ღირსეულად გამართლოს მისდამი ნდობა. და, პირიქით, უიდეო ადამიანი ბოროტად იყენებს ნდობას, უგულებელყოფს თავის მოვალეობებს, არ ასრულებს თავის ვალს.

მუშაკის იდეურობის უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განუხრელად დაცვა, აქტიურობა და სიმტკიცე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ასეთი მუშაკი, ხელმძღვანელობს რა პარტიის პოლიტიკით, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებით, მთელ თავის ძალღონეს, მთელ ცოდნას, ნიჭსა და გამოცდილებას ახმარს მუშაობას. მასში არასოდეს არ ქრება შემოქმედების მებრძოლური სულისკვეთება. მისი მუშაობის სტილი განირჩევა რევოლუციური გაქანებით, საქმიანობით, შეუპოვრობით, რაც ძლევს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას.

ამავე დროს ადამიანები, რომლებიც არ იმაღლებენ იდეურ დონეს, ხშირად იქცევიან საქმოსნებად, დახავსებულ და გულგრილ მოხელეებად, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს. პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. შუბლაძე, რომელიც სუსტად იყო მომზადებული იდეურ-პოლიტიკურად, გაყოყოჩდა, დაკარგა პასუხისმგებლობის გრძნობა. იღებდა რა დირექტივებს ზემდგომი პარტიული ორგანოებისაგან, იგი ნაცვლად იმისა, რომ დაერაზმა რაიონული პარტიული ორგანიზაცია ამ დირექტივების აუცილებლად შესრულებისათვის, მაუდქვეშ დებდა მათ. არ ასრულებდა რა დირექტივებს, ამ გაბიუროკრატებულმა ხელმძღვანელმა რაიონი სერიოზულ ჩამორჩენამდე მიიყვანა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრად დასაჯა ამხ. შუბლაძე.

უიდეობის გარდუვალი შედეგია უდარდელობა, თვითდამშვიდება, აზრის სიზანტე, ახლის, პროგრესულის შიში. კარგავს რა პერსპექტივებს მუშაობაში, ანგარიშს არ უწევს რა ახალ, სულ უფრო მზარდ მოთხოვნებსა და ამოცანებს, მუშაკი, რომელიც უდარდელად ეკიდება თეორიას, თანდათან იქცევა პოლიტიკურ ობივატელად, რომელიც თავის პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს.

დამახასიათებელია მახარაძის რაიკომის მდივნის ვ. სიხარულიძის მაგალითი. თავდაპირველად მას საქმე არც თუ ცუდად ჰქონდა დაყენებული. იგი დამშვიდდა ამით, თავი დაანება სწავლას. წარმატებებისადმი არაკრიტიკულმა დამოკიდებულებამ წარმოშვა ყოყოჩობა. მან თავი წარმოიდგინა „უბადლო“ მუშაკად, დაადგა იმ გზას, რომ აქტივს უნერგავდა არაპარტიულ ზნე-ჩვეულებებს: მამებლობას, თავისი პერსონის ქებას, მლიქვნელობას. პარტიული მუშაობა რაიონში თანდათან შესუსტდა. რაიონში კადრების შერჩევა და განაწილება ბევრ შემთხვევაში ხდებოდა არა საქმიანი და პოლიტიკური ნიშნების, არამედ ნათესაური კავშირისა და მეზობლობის ნიშნების მიხედვით. საქმე იმით გათავდა, რომ სიხარულიძემ შემოიკრიბა მლიქვნელები და დანაშაულებრივი ელემენტები, თვითონ მიჰყო ხელი გამოძალვას პირადი შეძენის მიზნით. პარტიამ თავისი რიგებიდან გააძევა ეს გადაგვარებული.

მუშაკის იდეურობას ცხადყოფს მისი დამოკიდებულება კრიტიკისა და თვითკრიტიკისადმი. ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელი ცდილობს ისეთი ვითარება შექმნას პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც მას საშუალებას აძლევს მუდამ ღიად იქონიოს თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის კარი. მას არ აშინებს კრიტიკული შენიშვნები თავის მიმართ, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს ეხმარება მუშაობაში, საშუალებას აძლევს დროზე ამხილოს და თავიდან აიცილოს შეცდომები და ავადმყოფური მოვლენები.

საქართველოს ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა დაბალ დონეზე იყო. კომუნისტებს, რომლებიც ბედავდნენ გაეკრიტიკებინათ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, სდევნიდნენ, სამუშაოდან ხსნიდნენ სხვადასხვა საბაბით. შინაპარტიული დემოკრატია ირღვეოდა. უხეშად არღვევდნენ პარტიული კომიტეტების პლენუმების მოწვევის საწესდებო ვადებს. პარტიული აქტივის კრებებს შემთხვევითი და მეტწილად „საზეიმო“ ხასიათი ჰქონდა. ასეთი მანკიერი პრაქტიკა საშუალებას უსპობდა პარტიულ მასას გაეკრიტიკებინა ნაკლოვანებანი, აშკარად აღენიშნა ისინი.

იდეურობა შეიძინება არა მარტო სწავლაში, არამედ მთელი მუშაობის პროცესში. პარტიულ კრებებზე, აქტივის კრებებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე პარტიული პოლიტიკისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხების განხილვის მსვლელობაში ჩვენი კადრები ღრმად ითვისებენ პარტიის პოლიტიკას, სწავლობენ იმას, რომ თავიანთ მუშაობას განიხილავდნენ არა ვიწროუწყებრივი, არამედ ფართო თვალსაზრისით, როგორც იმ მთლიანის ნაწილს, რაზედაც პარტია მუშაობს. საქმოსნობის, ობივატელობის, დოყლაპიობის, პოლიტიკური უდარდელობის გამოვლინებას ყველაზე ხშირად ვხედავთ იქ, სადაც ღარიბია იდეური ცხოვრება.

ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მითითებებით, საქართველოს კომპარტია ახორციელებს თავისი მუშაობის გარდაქმნას, აუმჯობესებს შინაპარტიულ ცხოვრებას, უზრუნველყოფს თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის ფართოდ გაშლას პარტიულ ორგანიზაციებში. ამის მეოხებით ამაღლდა ბევრი პარტორგანიზაციის იდეური ცხოვრება, იგი გახდა უფრო სისხლსავსე, გაძლიერდა კომუნისტთა აქტივობა და თვითშემოქმედება, განმტკიცდა პარტიული ორგანიზაციების კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან.

პარტიის XIX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს დაუსახა ამოცანა — სისტემატურად ამაღლონ და აუმჯობესონ ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება. მთელი ჩვენი კადრები, უკლებლივ ყველანი, მოვალენი არიან იმუშაონ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის, დაეუფლონ პარტიის მდიდარ პოლიტიკურ გამოცდილებას, რათა არ ჩამორჩნენ ცხოვრებას და იდგნენ პარტიის ამოცანების სიმაღლეზე. მხოლოდ ისეთ ხელმძღვანელს შეუძლია იდგეს ჩვენი პარტიის ამოცანების სიმაღლეზე, რომელიც მუდამ მუშაობს თავის თავზე, შემოქმედებითად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს, იძენს და იუმჯობესებს ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწის თვისებებს.

ჩვენი კადრების მაღალი იდეურობა იმის საწინდარია, რომ წარმატებით განვახორციელებთ დიად ლენინურ-სტალინურ წინასწარდასახულობებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

## უკარკასო — დიდპანელიანი საცხოვრებელი სახლი

მოსკოვში ოქტომბრის მინდვრის მე-6 ქუჩაზე დაიწყო ჩვენს ქვეყანაში პირველი მრავალსართულიანი დიდპანელიანი უკარკასო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის პროექტიც შეადგინა სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის არქიტექტორთა, ინჟინერთა და მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა.

29 იანვარს ახალი სახლის ვეებერთელა ქვაბულში დააგეს ნაკრები საძირკვლის ბეტონის პირველი ბლოკები. შენობა შედგება ცენტრალური შვიდსართულიანი კორპუსისა და ორი ხუთსართულიანი ფრთისაგან. ამ შენობაში დაპროექტებულია ორ, სამ და ოთხოთახიანი 82 ბინა. საერთო საცხოვრებელი ფართობი იქნება 3,5 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი.

ამ უკანასკნელ წლებში მოსკოვში აგებულია რამდენიმე ოთხ და ექვსსართულიანი კარკასიან-პანელიანი საცხოვრებელი სახლი. ამ შენობებში ძირითად კონსტრუქციებს წარმოადგენს ლითონისა და რკინა-ბეტონის კარკასები. ოქტომბრის მინდორზე აგებულ სახლში ძირითადი და გადამღობი კონსტრუქციების ფუნქციებს შეასრულებენ გარეთა კედლები და ტიხრები. ერთმანეთთან დაკავშირებული კედლების, ტიხრებისა და გადახურვათა დიდი პანელები უზრუნველყოფენ შენობის გამძლეობასა და სიმაგრეს.

კარკასის გაუქმებლობა ამცირებს ლითონის ხარჯვას, მნიშვნელოვნად ამცირებს მშენებელთა შრომის ხარჯს და უზრუნველყოფს სახლის უფრო სწრაფად აწყობას.

ავტორების აზრით შენობა სწრაფად და ადვილად უნდა აიწყოს ქარხანაში დამზადებული დეტალებით. სახლის კედლები დამონტაჟდება ერთი სართულის სიმაღლის ფილებით. გადახურვათა ფილები სხვადასხვა ზომისაა — ათიდან ოცდასამ კვადრატულ მეტრამდე. ერთი ასეთი ფილა საკმარისია იმისათვის, რომ გადაიხუროს მთელი ოთახი.

მსუბუქი ბეტონისაგან დამზადებულ კედლის პანელებს სამშენებლო მოედანზე მიღებისას ექნებათ საბოლოოდ მოპირკეთებული გარეთა და შიგნითა ზედაპირი და ფანჯრების მზა ალათები. ქარხანაში გადატანილია არა მარტო კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადების პროცესები, არამედ მათი საბოლოო გამოყვანაც. სამშენებლო მოედანზე განხორციელდება მხოლოდ სახლის ელემენტების მონტაჟი. (საკდესი).

## საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების პირველი ჯეჯილი

**კარში.** (საკდესი). კაშკა-დარიის ოლქში გრძელდება მარცვლეული კულტურების თესვა. უკვე დათესილია ათეულ ათასობით ჰექტარი ხორბალი და ქერი. გუზარის, ბეშკენტის, კასანის რაიონების კოლმეურნეობათა მინდვრებში ამოვიდა საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების პირველი ჯეჯილი.

## წითელი დროშები შეჯიბრებაში გამარჯვებულთ

საკავშირო პროფსაბჭომ და ელექტროსადგურების სამინისტრომ განიხილეს სამინისტროს საწარმოთა და მშენებლობათა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1952 წლის დეკემბრისა და მეოთხე კვარტალის შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემიები მიეკუთვნათ: ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგურს, იაროსლავლის, ბრიანსკის და ჩელიაბინსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებს, ტრესტ „ჰიდრომონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს, „გლავენერგოზაპჩასტის“ პოლტავის მანქანათმშენებელ ქარხანას და გორკის ტორფტრესტის სიტნიკის საწარმოს.

ექვს საწარმოს მიენიჭა საკავშირო პროფსაბჭოს და სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. მათ შორის არიან: „უზბეკენერგოს“ ორჯონიკიძის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადი, „არმენენერგოს“ ელექტროქსელის კიროვაკანის რაიონი, ქალაქ გორკის სვერდლოვის სახელობის ტორფის მანქანათა ქარხანა და სხვები.

მეორე და მესამე პრემიები ეძლევა ელექტროსადგურების სამინისტროს 21 საწარმოს. (საკდესი).

## დღეს მაგნიტკაში

**მაგნიტოგორსკი,** 29 იანვარი. (საკდესი). დღეს მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მთელმა რიგმა კოლექტივებმა უპატაკეს იანვრის პროგრამის ვადამდე შესრულება. თვიური გეგმა შეასრულეს მეაგლომერატეებმა. გააუმჯობესეს რა საბრძმედე ნედლეულის ხარისხი, მაგნიტნაიას მთის მაღაროელები ამ თვეში მებრძმედეებს უგზავნიან გამზადებულ აგლომერატს. ამან ხელი შეუწყო ბრძმედის პროცესის კიდევ უფრო მეტ ინტენსიფიკაციას.

მეფოლადეთა ცხრა ბრიგადა დღეიდან თებერვლის ანგარიშში ადნობს ფოლადს. კომბინატში იანვრის დავალება პირველმა შეასრულა მარტენის ღუმელის კოლექტივმა, რომელსაც მეთაურობენ მეფოლადეები ამხ. რადუცკი, ვავილოვი და ფილიმოშინი.

## აზერბაიჯანის ქალაქების რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა

**ბაქო,** 29 იანვარი. (საკდესი). აზერბაიჯანის არქიტექტურის დამპროექტებელმა სახელმწიფო ორგანიზაციამ შეიმუშავა აზერბაიჯანის მთელი რიგი ქალაქების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის გენერალური გეგმები.

გაფართოვდება და კეთილმოწყობილი გახდება განჯის ოლქის ცენტრი — კიროვაბადი. წლითიწლობით იცვლება რესპუბლიკის ახალი ინდუსტრიული ცენტრების — სუმგაიტის, მინგეჩაურისა და დაშქესანის სახე. ორ და სამსართულიანი სახლები შენდება ახლა სუმგაიტის ძირითად მაგისტრალებზე — ცენტრალურ და მშენებლობის ქუჩებზე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასტუმროს, კინოთეატრისა და სასადილოს მშენებლობა. საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობები, ბაღები და პარკები დაამშვენებენ მინგეჩაურსა და დაშქესანს.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის კერებად გადაიქცევა შუშა და ისტისუ. მთის კლიმატურ კურორტ შუშაში, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 1.500 მეტრ სიმაღლეზე, რგავენ ხეხილსა და დეკორაციულ ხეებს, აშენებენ პარკებსა და სკვერებს. აქ მწყობრში ჩადგა ახალი თბოელექტროცენტრალი, მნიშვნელოვნად გაფართოვდება დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ქსელი. გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ახალი კურორტის ისტი-სუს მშენებლობა. რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები განხორციელდება აგრეთვე ამიერკავკასიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ ნახჭევანში, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ცენტრში — სტეფანაკერტში და სხვა ქალაქებში.

## ურალელი მჭედლის ა. ანდრეევის ახალი წარმატება

**სვერდლოვსკი,** 27 იანვარი. (საკდესი). ყოველ სამუშაო ადგილზე შიგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის შეჯიბრების ინიციატორმა — ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელმა ა. ანდრეევმა ახალ წარმატებას მიაღწია. გუშინ ღამის ცვლაში, გამოიყენა რა უროს სპეციალური სამარჯვი, მან ცვლაში, ნორმით გათვალისწინებული 25 ნაჭედის ნაცვლად, გამოუშვა 44 ნაჭედი. მჭედელ ვ. ლარიონოვის ბრიგადამ, რომელიც ცვლაში ნოვატორთან ერთად მუშაობდა, მეორე დეტალის გამოჭედვის დავალება 148 პროცენტით შეასრულა.

# უზრუნველვყოთ საწარმოო გეგმების თანმიმდევრული შესრულება

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა შარშან ხამი ქსოვილის გამოშვების წლიური გეგმა 103,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო მზა ნაწარმის გამოშვებისა — 95,9 პროცენტით; ამავე დროს აქ ცუდად იბრძოდნენ ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ფაბრიკამ ვერ უზრუნველყო პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალების განაღდება. პირველხარისხოვანი პროდუქცია ნაცვლად 63 პროცენტისა გამოშვებულია 61,1 პროცენტი. ამრიგად, ფაბრიკამ ქვეყანას დააკლო რამდენიმე ათასი მეტრი მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილი.

ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო შრომის არასწორი ორგანიზაცია, არარიტმული მუშაობა, დაზგა-დანადგარების ხშირი მოცდენა, რამაც გეგმით გათვალისწინებული 7 პროცენტის ნაცვლად შარშან 12,1 პროცენტს მიაღწია.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის დირექცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ნაკლებად ზრუნავდნენ შრომის ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის. ფაბრიკაში ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყველა მუშა ასრულებდეს გამომუშავების სავალდებულო ნორმებს. მაგალითად, გასული წლის თერთმეტ თვეში საქსოვ საამქროში გამომუშავების სავალდებულო ნორმები ვერ შეასრულა 74 მუშამ, მოსამზადებელ საამქროში — 13, ხოლო სამღებრო-გამომყვან საამქროში — 9 მუშამ.

ფაბრიკის კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული მიმდინარე სამეურნეო წელს. შარშანდელთან შედარებით წელს 270 ათასი მეტრით უნდა გაიზარდოს ხამი ქსოვილის, ხოლო 1.900 ათასი მეტრით მზა ქსოვილის გამოშვება, ამასთანავე ათვისებულ იქნას ახალი ასორტიმენტის აბრეშუმის ქსოვილები, მათ შორის ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი „მოსკრეპი", ხელოვნური აბრეშუმნარევი ზოლიანი კრეპდეშინი; ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ახალი ასორტიმენტი: „კრეპ-პირველი მაისი" და შტაპელის ნართზე მოქსოვილი „ტილო". ფაბრიკის მოსამზადებელმა საამქრომ წელს უნდა აითვისოს ხელოვნური აბრეშუმის ძაფის გრეხვა.

ფაბრიკის კოლექტივის ამოცანა იყო ახალი წელი ამ დიდ და საპატიო დავალებათა შესრულების ღრმა შეგნებით დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებას თითქოს დროზე შეუდგნენ, გეგმების საამქროებისათვის მიწოდება დააგვიანეს. ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ფაბრიკის კოლექტივი არა რიტმიულად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიკის საქვაბე მეურნეობა მოუწესრიგებელი იყო ჯერ კიდევ გასულ წელს, ეს მდგომარეობა წელსაც გრძელდება. საქვაბე მეურნეობის მოუწესრიგებლობის გამო იგი საჭირო რაოდენობის ტექნოლოგიური ორთქლით ვერ უზრუნველყოფს სამღებრო-გამომყვან კორპუსს, ამის შედეგად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, რაც აუარესებს ხარისხს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მწყობრიდან გამოსული ძველი საქსოვი დაზგების შეცვლა ტექნიკურად გაუმჯობესებული დაზგებით.

გასული წლის მესამე კვარტალში ფაბრიკას შეემატა სამღებრო-გამომყვანი კორპუსი, რომელიც ახალი მოწყობილობით არის აღჭურვილი. ამ კორპუსის გამართულ მუშაობაზე დამოკიდებულია საერთო-საფაბრიკო გეგმის შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კორპუსი დიდი ხნით ადრე უნდა შესულიყო ექსპლოატაციაში, იგი ჯერ კიდევ არ არის კეთილმოწყობილი და სრული დატვირთვით არ მუშაობს.

ფაბრიკას ჰყავს მრავალი მოწინავე ადამიანი, რომლებიც იანვრის პირველი დღეებიდანვე წარმატებით მუშაობენ და დღიურ ნორმებს საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ შორის აღსანიშნავი არიან მქსოველები — ნ. მელიქიძე, ე. ურთაშვილი, თ. კოპალეიშვილი, ო. გერასიმოვა, ე. გნეტოვა, ნ. ჯოხაძე, ე. მეხრაძე, ო. გოხაძე და სხვები, მაგრამ მათი მუშაობის გამოცდილების გავრცელებას საკმაო ყურადღება არ ექცევა.

ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ამთავითვე გააჩაღონ ბრძოლა 1953 წლის საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, გადაჭრით გააუმჯობესონ ტექნიკური კონტროლის მუშაობა, აღკვეთონ იერიშობანა მუშაობაში.

ლ. ლომიძე.

## ხორცი და ძეხვი გეგმის გადამეტებით

სამტრედია. (საკ. კორ.). ხორცკომბინატის მუშაკთა კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე. ხორცის გადამუშავების იანვრის დავალება აქ 20 იანვრისათვის 144,1 პროცენტით განაღდეს, ხოლო ძეხვეულის გამოშვებისა — 25 იანვრისათვის.

კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს, შარშანდელთან შედარებით, წელს 1.020 ცენტნერით მეტი ხორცი გადაამუშაონ.

# საბჭოთა საქართველოში

## მეშახტეთა კულტურის სახლი

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულში დაიწყო მეშახტეთა კულტურის სახლის მშენებლობა. იგი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი შენობა იქნება ქალაქში. ორსართულიან შენობაში დაპროექტებულია სალექციო და სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკა, საბილიარდო, რადიოკვანძი, თვითმოქმედი წრეების სამუშაო ოთახები და 525-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი.

კულტურის სახლის კედლები მოპირკეთებული იქნება თეთრი ქვით. შენობის ფასადი გაფორმებული იქნება ქართული ორნამენტით.

## კედლის გაზეთების დათვალიერება

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დამთავრდა სკოლების, მასწავლებელთა სახლების, საბავშვო ბაღებისა და სახლების და სახალხო განათლების ორგანოების კედლის გაზეთების დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, სუხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, სტალინირის, ფოთის, თელავის და სხვ. ასობით კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა.

ამჟამად საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გააჩაღა მზადება სახალხო განათლების ქსელის კედლის გაზეთების პირველი რესპუბლიკური დათვალიერების მოსაწყობად, რაც გათვალისწინებულია თებერვლის პირველი რიცხვებისათვის. გამოფენა მოეწყობა თბილისის მასწავლებლის სახლში.

რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებული საუკეთესო კედლის გაზეთებისათვის დაწესებულია სამი ფულადი პრემია: ორი პირველი პრემია 1.000 მანეთის რაოდენობით თვითეული, სამი მეორე პრემია 700 მანეთის და ხუთი მესამე პრემია 500 მანეთის რაოდენობით თვითეული.

## ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილება ფაბრიკასთან

წულუკიძე. (საკ. კორ.). წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკასთან მეხუთე წელია არსებობს საკავშირო საფეიქრო ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილება, რომელშიც სწავლობენ ფაბრიკაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიათა სტახანოველები.

ტექნიკუმი უკვე წარჩინებით დაამთავრეს მუშებმა ვ. აფხაზავამ, ლ. გუძუაძემ, ვ. მანდარიამ, თ. მაჭარაძემ და სხვებმა. ახლა მათი უმრავლესობა საამქროების, ცვლების უფროსებად, ქვეოსტატებად, ძაფის კონტროლიორებად და სხვა თანამდებობებზე მუშაობენ.

ამჟამად ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების უკანასკნელ კურსზე 22 მუშა სწავლობს.

## ახალგაზრდა სპეციალისტები უკრაინას გაემგზავრნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამას წინათ მარგანეცის მრეწველობის ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი ექვსი კაცის შემადგენლობით უკრაინაში გაემგზავრა. სპეციალისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს მარგანეცის ტრესტის სამთო ლაბორატორიის გამგის მოადგილე ინჟინერი ა. ხობუა. ჯგუფში შედიან: სტალინის სახელობის მაღაროს უბნის გამგე ინჟინერი ნ. გოგისვანიძე, კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს უსაფრთხოების ინჟინერი ლ. აბრამია, ბერიას სახელობის მაღაროს უბნის გამგე ნ. ჩხენკელი და სხვ. ჭიათურელები უკრაინაში ორ თვეს დარჩებიან.

ჭიათურელი სპეციალისტები დაწვრილებით გაეცნობიან ნიკოპოლის მარგანეცისა და კრივოი როგის რკინის მადნის მაღაროების მუშაობას, მოწინავე საბჭოთა სამთო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, წარჩინებულ ადამიანთა მდიდარ გამოცდილებას, რაც გადმოტანილი და დანერგილი იქნება ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში.

უკრაინელ თანამოძმეებს ჭიათურელი ამხანაგები გაუზიარებენ ჭიათურელთა მიღწევებსა და გამოცდილებას.

## მშრომელთა წვლილი ქალაქის კეთილმოწყობაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის მშრომელები ენერგიას არ იშურებენ თავიანთი ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები ამ უკანასკნელ ხანებში. ამჟამად ქალაქის ყოველ კუთხეში გაჩაღებულია მუშაობა, შენდება ახალი სკვერები, მწვანე სამოსელით და ასფალტით იფარება ქუჩები და მოედნები.

ამას წინათ ბათუმელები უდიდესი სიხარულით და შრომითი ენთუზიაზმით შეუდგნენ ბერიას სახელობის ზღვისპირა ქუჩის რეკონსტრუქციას. ეს ქუჩა რევოლუციის მოედნიდან გარეუბან ბარცხანამდე მიდის. იგი ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალია.

ასობით მშრომელს ყოველდღიურად შეაქვს თავისი წვლილი ამ საპატიო საქმეში, ხოლო კვირაობით ქუჩის რეკონსტრუქციაზე ათასობით ბათუმელი მუშაობს. აქ ხალისით მუშაობენ სტალინის სახელობის ნავთგადამმუშავებელი, ფანერის და მანქანათმშენებელი ქარხნების, სავაჭრო ნავსადგურის, რკინიგზის კვანძის საწარმოების, „გლავნეფტესნაბის" ბათუმის სამმართველოს და სხვა საწარმო-დაწესებულებების მუშაკები.

რეკონსტრუქციის შემდეგ ბერიას ქუჩა მნიშვნელოვნად გაფართოვდება. ქუჩის ორივე მხარეზე გაშენდება მარადმწვანე დეკორაციულ მცენარეთა ხეივანი, დაიდგმება არქიტექტურულად გაფორმებული ლამპიონები, გაკეთდება ახალი ფართო ტროტუარები, ქუჩა დაიფარება ასფალტით, გაფართოვდება სკვერები და ქუჩისპირა გაზონები. ყველა ეს სამუშაო ბათუმელებს გადაწყვეტილი აქვთ შეასრულონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32-ე წლის თავისათვის.

## სარეწაო კოოპერაციის ახალი პროდუქცია

სარეწაო კოოპერაციის თბილისის საოლქო საბჭოს არტელები მიმდინარე წელს აწყობენ ფართო მოხმარების საგნების ახალი სახეების მასობრივად გამოშვებას.

26 კომისრის სახელობის არტელმა აითვისა ქალის საზაფხულო ფეხსაცმლის („ბოსონოჟკების") წარმოება. მომავალი ზაფხულის სეზონისათვის ნავარაუდევია 20.000 წყვილი ასეთი ფეხსაცმლის გამოშვება.

არტელმა „მელითონემ" აითვისა ჩემოდნების გასაწყობი მასალის (ფურნიტურის) გამოშვება, რაც წინათ სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. მიმდინარე წელს ჩემოდნების მკეთებელი არტელებისათვის დამზადებულ იქნება 10.000-მდე კომპლექტი. ამავე არტელში დაგეგმილია 1.000 ცალი ელექტროუთოს დამზადება.

ლამაზად გაფორმებული პლასტმასის ჯიბის ბატარიანი ფარნების გამოშვებას იწყებს არტელი „იმერეტელი". დამზადებული იქნება 5.000 ცალი ასეთი ფარანი. არტელი „ტყავგალანტერია" აწყობს მოწაფეთა წიგნის ჩანთების გამოშვებას.

## ნერგი ტყის ზოლებისათვის

ცხაკაია. (საკ. კორ.). ევკალიპტის სახელმწიფო სანერგის კოლექტივს საგაზაფხულოდ გამოჰყავს წაბლფოთოლა მუხის, ევკალიპტის, კაკლის, წაბლის, თუთისა და სხვათა ნერგი, რაც გამოყენებულ იქნება დამცავი ტყის ზოლების გასაშენებლად. დათესილია მუხა 0,4 და ტრიფოლიატი 0,3 ჰექტარზე. მიმდინარეობს სხვა მცენარეების თესვაც. სანერგის მუშებმა შემოხავსეს 750.000 ევკალიპტის სტანდარტული ნერგი, გააშენეს ვერხვის 6 ჰექტარი პლანტაცია.

ნერგის გაცემა დაიწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან.

## კიდევ რა არის საჭირო?

„— პიესამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საინტერესო მოსასმენია. ამ მასალიდან კარგი სპექტაკლის მიღება შეიძლება.

— პიესის თემა აქტუალურია. იდეურად გამართული და საჭირო პიესაა.

— სულით და გულით ვულოცავ ავტორს ამ უდავო გამარჯვებას. გამართული, ლოგიკური, დამაჯერებელი პიესაა. დახვეწილი გემოვნებით არის შესრულებული. კარგი სახეებია.

— საინტერესო და სახალისო პიესაა. დიდი სიამოვნებით მოვისმინე და ვფიქრობ სპექტაკლიც ასევე საინტერესო და დამაჯერებელი იქნება.

— პიესის ღირსება ის არის, რომ ყველა მოქმედი გმირი თავის საქმიანობაშია მოცემული.

— პიესა ძალიან მომეწონა, მომხრე ვარ რაც შეიძლება მალე დავიწყოთ მუშაობა.

— იდეურად და მხატვრულად გამართული და მისაღებია.

— პიესა იდეურად გამართული და საჭიროა. მცირე შესწორებებით უსათუოდ მოსაწონი და მისაღებია.

— მთლიანი შთაბეჭდილება კარგი და სასიამოვნოა. იდეურად გამართული და აქტუალური პიესაა".

რა არის ეს, — იკითხავს დაინტერესებული მკითხველი, — ოქმი ხომ არ არის?

— დიახ, ეს ოქმია.

რა პიესაზეა ლაპარაკი ან რომელ თეატრში ხდება ეს ამბავი?

არც ამას დაგიმალავთ. პიესა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ა. აფხაიძეს, ხოლო ამბავი ხდება მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ამბავი დაიწყო 1950 წლიდან, როცა აღნიშნულმა პიესამ საუკეთესო ორიგინალურ პიესებზე გამოცხადებული კონკურსის ჟიურის კარგი შეფასება მიიღო.

მაგრამ ოქმის დასკვნითი ნაწილიც გავიცნოთ. „დასკვნა:

...პიესა აუცილებლად ავტორის გამარჯვებაა. თეატრმა უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საინტერესო პიესას და შექმნას კარგი სპექტაკლი საქართველოს ინდუსტრიის თემაზე".

ჩვენს დრამატურგებში ბევრი ვერ დაიტრაბახებს, რომ ასეთი ბრწყინვალე შეფასება მიეღოს რომელიმე თეატრში.

სად არის ახლა ეს პიესა? რამ შეუშალა ხელი მარჯანიშვილის თეატრს მის დადგმაში?

ხელი შეუშალა ამ თეატრის ყოფილი ხელმძღვანელობის შემოქმედებითი მუშაობის „სტილმა" — პიესის ავტორებისადმი აბუჩად ამგდებმა დამოკიდებულებამ.

ხელმძღვანელობა წავიდა. პიესა დარჩა. მოვიდა ახალი მთავარი რეჟისორი.

იქნებ მარჯანიშვილის თეატრმა შეიცვალა აზრი ამ პიესის ღირსებაზე?

გავეცნოთ ახალი მთავარი რეჟისორის ამხ. ვ. ტაბლიაშვილის წერილს ავტორისადმი.

„...ძალიან სასიამოვნოა, რომ პიესის კითხვა რუსთავში კარგად ჩატარებულა (ავტორმა პიესა რუსთავში წაიკითხა, პიესა მეფოლადეებმაც მოიწონეს). ისიც კარგია, რომ ოქმი წამოგიღიათ... ნუ გეშინიათ, ნუ ღელავთ, თქვენს პიესას მე დავდგამ ჩვენს თეატრში"...

არა გვგონია იყოს ამაზე ძვირფასი თამასუქი დრამატურგისათვის. რაღა შეუშლის ხელს პიესის დადგმას? სრულიად არაფერი.

მაშ ასე: პიესა კარგია, იგი ავტორის გამარჯვებაა, იგი კონკურსში გამარჯვებულია, იგი მოსწონს თეატრსა და მთავარ რეჟისორს, მოსწონთ მეფოლადეებსაც, ნებადართულია დასადგმელად, ავტორმა ჰონორარიც მიიღო და... ამ დღეებში თეატრის დირექციისაგან უარიც მიიღო პიესის დადგმაზე.

საინტერესოა კიდევ რა არის საჭირო, ვისი დასტურია საჭირო, რომ პიესა თეატრში დაიდგას?

და თუ პიესა დადგმის ღირსი არ არის, როგორღა აძლევს თეატრი მას ასეთ შესანიშნავ შეფასებას?

შ. შავიშვილი.

სანიმუშოდ მოვამზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

# როგორ მოაწყეს ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით

მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულად გამოყენება პასუხსაგები ამოცანაა. საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მიგვითითა: „თანამედროვე პირობებში ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ მოხდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფართო მექანიზაცია".

ამ მითითების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების საზამთრო რემონტის მაღალხარისხოვნად შესრულებას.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების რემონტს ახალი, პროგრესული ტექნოლოგიით — კვანძური მეთოდით, ანუ ყველა ნაწილის ცალცალკე ადგილებზე შეკეთებას. იგი ამაღლებს თვითეული მექანიზატორის პასუხისმგებლობას, ახდენს გაუპიროვნების ლიკვიდაციას სამუშაოთა შესრულებაში, აადვილებს დეფექტურ ნამუშევართა აღმოჩენას, მინიმუმამდე ამცირებს წუნს, ნაწილების, ლითონისა და მასალების, აგრეთვე თანხების ხარჯს; იძლევა დროის დიდ ეკონომიას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამუშაოს ხარისხს.

ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინეს ულიანოვკელმა მექანიზატორებმა და ფართოდ მოაწყეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კვანძური რემონტი. მტს-ში რემონტის ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად შესრულების საკითხი, ტექნოლოგიური პროცესების სქემა ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში განიხილეს მექანიკოსთა საწარმოო თათბირზე, შემდეგ პარტიულ და საერთო კრებებზე, მოითათბირეს ყველა მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაზე. ამასთან, მექანიზატორებმა ადგილობრივი პირობების მიხედვით შეადგინეს სამუშაო გეგმაც. ასევე წინასწარ იზრუნეს კვანძების შესაკეთებელი ადგილების მოწყობისათვის, დაზგების, ნაწილებისა და ხელსაწყო-იარაღების შეძენისათვის.

მტს-მა ტრაქტორების შეკეთებისათვის 135 მექანიზატორიდან შეარჩია 50 კაცი, უმთავრესად გამოცდილი და ენერგიული მუშაკები. ამასთან თვი-

### ულიანოვკის მტს-ის გამოცდილებიდან

თეულს მიუჩინა სამუშაო მისი ცოდნისა და უნარის მიხედვით. ყოველი სამუშაო ადგილისათვის სპეციალურად შედგენილ ცხრილში ამა თუ იმ დავალებაზე განისაზღვრა შესრულების დაწყებისა და დამთავრების ვადები, დაწესდა მტკიცე გრაფიკი და კონტროლი ხარისხისადმი.

მექანიზატორებისათვის სპეციალურად შერჩეულ აქტუალურ თემებზე რამდენჯერმე მოეწყო ლექციები, კონსულტაციები და გასაუბრება, რაც დაკავშირებული იყო საწარმოო დავალების შესრულებასთან.

მისაბაძია ისიც, რომ მექანიზატორებმა ადგილზევე, თავიანთ სახელოსნოში წინასწარ დაამზადეს ტრაქტორების რემონტისათვის საჭირო ბევრი სათადარიგო ნაწილი, უზრუნველყვეს ძველი დეტალების აღდგენა, მათ ყველაფერი ისე მოაწყეს, რომ ერთი წუთითაც არ შეფერხებულა შეკეთების მიმდინარეობა.

კვანძური რემონტისათვის მტს-ში ულიანოვკელმა მექანიზატორებმა 22 სამუშაო ადგილი მოაწყეს. თვითეული სამუშაო ადგილი ისეა ორგანიზებული, რომ სარემონტო საქმის ერთიან და დამოუკიდებელ კომპლექსს წარმოადგენს.

პირველ სამუშაო ადგილზე, ეზოში, სადაც ხელმძღვანელია ვ. ქუფარაშვილი, მიმდინარეობს ტრაქტორების გაწმენდა-გასუფთავება. ამ მიზნით აქ გამოყვანილია ელექტროგანათება და წყალი, მოწყობილია სპეციალური სამრეცხაო. ამ ადგილზე მომუშავედ გამოყოფილი 3 კაცი ყოველდღიურად უზრუნველყოფს დაახლოებით 4-5 ტრაქტორის მომზადებას, რაც სავსებით საკმარისია რემონტის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის.

მეორე სამუშაო ადგილზე სახელოსნოში შესაკეთებელ ტრაქტორს კვანძებად შლიან. ამ საქმეს ვ. ბაიდოშვილი ხელმძღვანელობს, დამხმარედ მას ორი ტრაქტორისტი ჰყავს. აქედან დაშლილი ტრაქტორის ნაწილები მიაქვთ მესამე ანუ სპეციალურ სამრეცხაო ადგილზე, სადაც ხელმძღვანელია დ. ჟუჟუნაშვილი. იქვე მოწყობილია აუზი, რომელშიც ჩასხმულია გამთბარი წყალი და დიზელის საწვავი, რაც ხელს უწყობს რეცხვის დაჩქარებას. აქ გარეცხილი კვანძების ვარგისიანობას ამოწმებს კონტროლიორ-მექანიკოსი თ. რემიზოვი, რომელიც ცალცალკე ადგილს მიუჩენს შეუკეთებლად გამოსაყენებელს, შესაკეთებელს და უვარგის ნაწილებს.

მტს-ში, თვითეული მექანიზატორის ცოდნისა და უნარის მიხედვით გამოყენებით, საქმის წინასწარ შესწავლის საფუძველზე მოწყობილია სხვა სამუშაო ადგილებიც. მათგან მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ. ასეთებია: სიჩქარის ყუთის შესაკეთებელი და ასაწყობი სამუშაო ადგილი, უკანა ხიდის შესაკეთებელი და ასაწყობი ადგილი, დგუშებისა და ბარბაცების შესაკეთებელი, ძრავის შესაკეთებელი და ასაწყობი, ძრავის ცივად მიმუშავებისა, ძრავის საგამოცდო და სხვ. სპეციალურ სამუშაო ადგილებზე კეთდება აგრეთვე საკისარები, ავზები, ჰაერსაწმენდები, გადაბმულობანი, კარბიურატორები, ვენტილატორები და სხვ.

ტრაქტორების კვანძური მეთოდით შეკეთებას დიდად უწყობს ხელს მტს-ის ახალი კაპიტალური სახელოსნო, რომელსაც ყველა საჭირო დანადგარი და 45-ცხენისძალიანი საკუთარი ელექტროსადგური აქვს. სახელოსნოში მოწყობილია ისეთი სპეციალური დაზგები, როგორიც არის ზუსტი ხელსაწყოების შემკეთებელი, ბარბაცა მექანიზმების და სხვათა საჩარხი, სახვრეტი, სარანდავი, საწნეხი. აქვთ აგრეთვე ძრავების, რადიატორების და სხვ. გამოსაცდელი სტენდები, ავტომატური ურო, საწვავის აპარატურის საგამოცდო მოწყობილობა, ელექტროშემდუღებელი, ელექტრომოწყობილობის საგამოცდო ხელსაწყო.

სახელოსნოს გონივრულად მოწყობის საფუძველზე მტს-ში ყველა სამუშაო მექანიზებულია. ამის შედეგად მტს-მა დაამზადა და აღადგინა ჭანჭიკები, ქანჩები, კბილანები, ღერძები, ბევრი სხვა, რამაც ხელი შეუწყო რემონტის სამუშაოთა გაიაფებას, საქმის დაჩქარებას და განსაკუთრებით ხარისხის გაუმჯობესებას.

საქმე მნიშვნელოვნად გაადვილდა იმითაც, რომ რემონტზე მომუშავე ბევრი მუშაკი დაეუფლა დამატებით პროფესიას, რასაც წარმატებით იყენებენ. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ი. ბაიდოშვილი, ა. დრობიჩევი და სხვები, რომლებმაც ხარატობა, ზეინკლობა და მსხმელობა შეისწავლეს.

საქმის დაჩქარებისათვის სახელოსნოში ის სამუშაო ადგილები, სადაც კვანძების შეკეთებას ვერ ასწრებდნენ, ორ ცვლად მუშაობაზეა გადაყვანილი. ასეთებია საჩარხი, შემდუღებელი, სამჭედლო, საზეინკლო, ძრავების საგამოცდო.

კვანძური მეთოდის დანერგვით მტს-მა რემონტის 1952 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე გაანაღდა. წარმატებით სრულდება მიმდინარე წლის დავალებაც. კვანძური რემონტის საშუალებით გასულ წლებთან შედარებით დიდად შემცირებულია ტრაქტორების რემონტში ყოფნის დროც. მაგალითად, ტრაქტორის „სტზ" შეკეთებას წინათ 10-15 დღეს უნდებოდნენ, ახლა კი 3-4 დღე სჭირდება. ასევე „უნივერსალის" რემონტისათვის წინათ 8-12 დღე იყო საჭირო, ახლა კი საკმარისია 2-3 დღე. საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც: შარშან კვანძური მეთოდის შემოღებით რემონტის ღირებულება 5 პროცენტით შეამცირეს, წელს კი სულ ცოტა 7 პროცენტით შემცირებას ვარაუდობენ.

კვანძური რემონტის საფუძველზე მექანიზატორები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე თვითეული ბრიგადისათვის კვანძებისა და აგრეგატების საცვლელი ფონდის შექმნას მინდვრად ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეუფერხებლად შეკეთებისათვის.

მტს-ში წესად არის შემოღებული: კვანძი მხოლოდ მაშინ ითვლება შეკეთებულად და ტრაქტორისათვის გამოსაყენებლად, როცა ამაზე თავის დასკვნას აძლევს კონტროლიორი-წუნმდებელი. თუ რომელიმე კვანძი კარგად მორგებული, განინჯული და გამოცდილი არ არის, იგი შეკეთებულად არ ითვლება. ყოველდღიურად რემონტის ხარისხს და საერთოდ სამუშაოთა მიმდინარეობას მტს-ის დირექტორი, მისი მოადგილე და მთავარი ინჟინერი ამოწმებენ.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას.

ტრაქტორების სხვადასხვა კვანძების შეკეთებაზე დიდი მონდომებით მუშაობენ მოწინავე მექანიზატორები ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. შიტუხინი, ი. ბაიდოშვილი, მ. ძმანაშვილი, დ. ნავროზაშვილი და ბევრი სხვა, რომლებიც დღიურ დავალებას ხშირად ორმაგად ასრულებენ.

მექანიზატორები ისე წარმართავენ კვანძურ რემონტს, რომ თვითეული შეკეთებული ტრაქტორი მაღალნაყოფიერად მუშაობდეს. მტს-ში ყველა ტრაქტორზე მოწყობილია ელექტროგანათება, დაცულია უსაფრთხოების ტექნიკა, წესრიგშია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, საკმაოდ არის საჭირო ინვენტარი და სათადარიგო ნაწილები.

შეკეთებული ტრაქტორი სათანადო გამოცდის გავლის შემდეგ გადაჰყავთ სრული დატვირთვით მუშაობაზე.

მტს-ში ტრაქტორების რემონტთან ერთად მისაბმელი ინვენტარის შეკეთებაზეც მუშაობენ. ამ საქმისათვის 25 მექანიზატორია გამოყოფილი.

მტს-ში ამჟამად ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი: ძრავისა და სხვა კვანძების შესაკეთებელ ადგილებზე დამატებით დგამენ მაგიდებს, რემონტზე მომუშავეებისათვის ეწყობა სპეციალური ოთახი დასასვენებლად და მუშაობის დაწყება-დამთავრებისას ტანსაცმლის გამოსაცვლელად. გამოყვანილია რადიო და ელექტროგანათება. მტს-ში ყოველ ორ კვირაში გამოდის კედლის გაზეთი „მოწინავეთა ხმა", მოწყობილია სოციალისტური შეჯიბრების დაფა, წითელი კუთხე, საკმაო რაოდენობით იღებენ ჟურნალ-გაზეთებს, სისტემატურად ეწყობა ლექციები და საუბრები საინტერესო საკითხებზე.

ულიანოვკელ მექანიზატორთა მუშაობის გამოცდილება ფართოდ გავრცელების ღირსია.

ტ. თოდრაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



ტრაქტორების კვანძური რემონტისათვის ბარბაცას საკისრის შეკეთება ულიანოვკის მტს-ში. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მექანიკოსი ბ. ტარყაშვილი და ბრიგადირი — კომბაინერი ვ. შიტუხინი ამოწმებენ შესრულების ხარისხს.

ფოტო ე. სილდირიანისა.

# მოკლე შენიშვნები

## 1. ამერიკული „მეგობრობის" მარწუხში

დემოკრატიისადმი სიძულვილით დაბრმავებული ინგლისის მთავრობა ამერიკელ იმპერიალისტებს მიეყიდა. იგი ფიქრობდა, რომ ამერიკასთან „მეგობრობით" შეძლებდა შეენარჩუნებინა თავისი, როგორც დიდი სახელმწიფოს, პოზიციები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეგობრობა ინგლისისათვის საბედისწერო გამოდგა, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ინგლისში „თვალდახშული" პოლიტიკოსები — ინგლის-ამერიკის „მეგობრობისა" და „თანამშრომლობის" დაქირავებული და ენაჭარტალა ადვოკატები, რომლებიც ასე ხშირად ლაყბობენ ინგლისისათვის ამერიკასთან „მეგობრობის კეთილისმყოფელ გავლენაზე".

ინგლისის ლომი ძია სემის „მეგობრობის" მარწუხში მოექცა: ინგლისის ფლოტს ამერიკელი გენერლები მეთაურობენ, ინგლისის არმია ამერიკელ მრჩეველთა, სამხედრო სპეციალისტთა ბრძანებებს ემორჩილება, ინგლისის საგარეო პოლიტიკას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი განსაზღვრავს.

ინგლისში იმყოფება 50 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც ექსტერიტორიულობის უფლებით სარგებლობენ. გასული წლის ოქტომბერში ინგლისის პარლამენტმა მიიღო მისთვის უაღრესად დამამცირებელი კანონი. ამ კანონის ძალით ამერიკელი ჯარისკაცი, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს, პასუხს არ აგებს ინგლისის სასამართლოს წინაშე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან მოკლა ინგლისელი მოქალაქე. ხოლო იმ საკითხს, ასრულებდა თუ არა ამერიკელი ჯარისკაცი ამ დროს სამსახურებრივ მოვალეობას, გადაწყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელი ხელისუფალნი. აქედან სავსებით გასაგებია ის აუწერელი თავხედობა, რასაც ამერიკელი ოკუპანტები სჩადიან ინგლისში.

ინგლისის მთავრობის დაქვემდებარება ვაშინგტონის დიქტატისადმი იმდენად სამარცხვინოა, რომ პარლამენტში ლეიბორისტული პარტიის წევრი ერთ-ერთი დეპუტატი, ჩერჩილის პოლიტიკით, ამერიკელი იმპერიალისტების წინაშე ეროვნული კაპიტულაციის პოლიტიკით აღშფოთებული, იძულებული გახდა განეცხადებინა: ინგლისური „ბულდოგი გადაიქცა ოთახის ძაღლად, რომელიც მიჯაჭვულია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალამს".

„მეგობრობის" ნიღბით ამერიკელი იმპერიალისტები ძირს უთხრიან ინგლისის ისედაც შერყეულ ეკონომიკას. ინგლისი კარგავს თავის ეკონომიკურ პოზიციებს შორეულ და ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ევროპაში. ამერიკელი „მეგობრების" დარტყმების შედეგად ირღვევა „სტერლინგის ბლოკი", რომლის მიზანია უზრუნველყოს ინგლისისათვის უპირატესობანი საგარეო ვაჭრობაში იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამ ბლოკში შედიან. თუ 1914 წელს კანადაში ინგლისის კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა უცხო კაპიტალდაბანდებათა 71 პროცენტს, ხოლო ამერიკის კაპიტალდაბანდებანი — 25 პროცენტს, 1949 წლისათვის ინგლისის კაპიტალდაბანდებანი შემცირდა 22 პროცენტამდე, ხოლო 1952 წლისათვის ამერიკის კაპიტალდაბანდებამ მიაღწია 80 პროცენტს. ამერიკელი მაგნატები ძლიერ ავიწროებენ თავიანთ ინგლისელ „მეგობრებს" კაპიტალის ექსპორტის საქმეში. თუ 1945-1951 წლებში ამერიკის კაპიტალდაბანდებანი (სახელმწიფო და კერძო) სხვა ქვეყნებში 17 მილიარდი დოლარიდან 36 მილიარდამდე გაიზარდა, ამავე პერიოდში ინგლისის კაპიტალდაბანდებანი 2,5 მილიარდი გირვანქა სტერლინგიდან 2 მილიარდამდე შემცირდა. მნიშვნელოვნად იზრდება ამერიკის კაპიტალდაბანდებანი თვით ინგლისში. მაგალითად, 1951 წელს ამერიკელებმა სამხრეთ ინგლისში ააგეს ევროპაში უდიდესი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა. ინგლისის ტერიტორიაზე ამერიკის ქარხნის „საზეიმო" გახსნა წილად ხვდა ეტლის, რომელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო. ასეთია ბედის მწარე ირონია!

1940-1951 წლებში ამერიკამ ორჯერ მეტი საქონელი მიჰყიდა ინგლისს, ვიდრე ინგლისისაგან იყიდა. აქედან წარმოდგება ე. წ. „დოლარის შიმშილი", რომელმაც აიძულა ინგლისი 1949 წელს გაეტარებინა სტერლინგის დევალვაცია. მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ განამტკიცა სტერლინგის კურსი.

ინგლისის მმართველი წრეები იმკიან თავიანთი უხეირო საგარეო პოლიტიკის ნაყოფს, რომელიც ყოველდღე უფრო მწარე ხდება. ამერიკელი იმპერიალისტები კი უტიფრად განაგრძობენ ინგლისის ძარცვას „მეგობრობის" ნიღბით და ამავე დროს ინგლისელებისაგან სიყვარულსა და პატივისცემას მოითხოვენ...

უკმაყოფილების ხმა გაისმის ინგლისის მმართველ წრეებში: „ჩვენ არ გვინდა, რომ ინგლისი მთლიანად ამერიკანიზებული იყოს", — აცხადებენ ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთები.

რაც შეეხება ინგლისელ ხალხს. იგი მტკიცედ მოითხოვს: „ბოლო მოეღოს ინგლისზე ამერიკულ ბატონობას. ამერიკელებო, წაეთრიეთ ინგლისიდან"!

## 2. დიპლომატების ნიღბით...

ამერიკელი იმპერიალისტები ყველაფერში გერმანელ ფაშისტებს ბაძავენ: ჰიტლერული ანტიკომუნისტური ისტერია, ომის ფსიქოზი, რასობრივი თეორია (ამჯერად უკვე ანგლო-საქსთა უპირატესობის ქადაგება!), საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად საბჭოთა კავშირის აგრესიულობაზე ლაყბობა, კულტურის პროგრესული მოღვაწეების დევნა, საკონცენტრაციო ბანაკები და ტერორი, სხვა ხალხების ეროვნული სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვა — ასეთია დღეს იმპერიალისტური ამერიკის სინამდვილე... ოღონდ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კოჯედოს, პუსანის, ჩეჯუდოს, პონგანის ამერიკელმა ჯალათებმა თავიანთი სიმხეცით, უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი წამებითა და ულტით ბევრად გადააჭარბეს მაიდანეკის, ოსვენციმის, ბუხენვალდის ჰიტლერელ ჯალათებს.

ამერიკელი იმპერიალისტები არა მარტო ბაძავენ გერმანელ ფაშისტებს, არამედ გულდასმით სწავლობენ მათგან დივერსიისა და საბოტაჟის მეთოდებს. დასავლეთ გერმანიაში მზრუნველობით აგროვებენ საბჭოთა არმიის მიერ ნაცემ გუდერიანის მსგავს გენერლებს, მიჰყავთ ისინი ამერიკაში, სადაც ყოფილი ჰიტლერელი გენერლები ამერიკის არმიაში მრჩევლებად მსახურობენ. ომის ამერიკელი გამჩაღებლები არა მარტო ფაშისტური გერმანიის არმიის ნაძირალებით არიან დაინტერესებული, არამედ ასევე სწავლობენ ჰიტლერის დიპლომატ-დივერსანტებისაგან... თავის დროზე ჰიტლერი უტიფრად აცხადებდა: „მე ვახორციელებ ძალადობის პოლიტიკას, ვიყენებ რა ყველა საშუალებას და არ ვზრუნავ ზნეობასა და „ღირსების კოდექსზე"... პოლიტიკაში მე [illegible]

[illegible] ლიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის უძლეველი ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა სახელმწიფო — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, კომუნიზმის მშენებელი ქვეყანა.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ქვეყნის ყოველი გამარჯვება, სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკის ყოველი წარმატება აცოფებს ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებლებს, რომლებიც არ ერიდებიან არავითარ საშუალებას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ თავიანთ ჯაშუშურ-დივერსიულ საქმიანობაში.

ამერიკელი იმპერიალისტების დაზვერვის ორგანოების ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობა მთელი მსოფლიოსათვის აშკარა გახდა და მან განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაამტკიცა „1951 წლის კანონი", რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონი დოლარის ასიგნებას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედი ჯაშუშებისა და დივერსანტების დასაფინანსებლად. ისტორიაში ამ უმაგალითო ბინძურ „კანონს" მისი ავტორები ასაღებენ „ლტოლვილებისადმი ჰუმანურ დახმარებად". სინამდვილეში ამ „კანონის" საფუძველზე შეიქმნება სპეციალური „შენაერთები", რომლებშიც ჩაირიცხებიან ყოფილი ჰიტლერელები, სამშობლოს მოღალატენი, დეზერტირები. ამერიკელი პოლიტიკოსი კერსტენი იძულებულია აღიაროს, რომ ამ „შენაერთების" ამოცანაა „შიშის ზარი დასცენ მოსახლეობას".

ოროიდე ფაქტი ამერიკელი იმპერიალისტების დივერსიული საქმიანობიდან: რუმინეთში, რო- [illegible]

[illegible]

## „საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვენიერი მაგალითი..."

[illegible]

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 29 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 29 იანვარს გამოაქვეყნა ცნობა.

სახალხო არმიის შენაერთები ჩინეთის სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დააზიანეს 3 თვითმფრინავი.

## სისხლით განმტკიცებული მეგობრობა

**ფხენიანი,** 29 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის მოხალისეთა რაზმების მეომრები კორეაში მაღალი ინტერნაციონალიზმის ნიმუშებს გვიჩვენებენ. დიდი მეგობრობა აკავშირებს მათ ადგილობრივ კორეელ მოსახლეობასთან. კორეაში ფართოდ არის ცნობილი შემთხვევა, რომელიც მოხდა გასულ წელს, როცა ჩინელმა მოხალისემ ლო სან-გემ სიცოცხლე შესწირა კორეელი ბიჭის გადარჩენას. ბიჭი ცოი ხენი, რომელიც იხსნა ლო სან-გემ, ცოცხალი გადარჩა. იგი დაღუპული გმირის მამამ იშვილა.

ამას წინათ კორეის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა კორეელი გლეხის პაკ ჯე გინის გმირობის შესახებ. ფრონტისპირა ზოლში მდებარე ერთი სოფლის გლეხები ეხმარებოდნენ ჩინელ მოხალისეებს ზურგის ჰოსპიტალში დაჭრილთა გადაყვანაში. იმ დროს, როცა გლეხ პაკ ჯე გინს ჩინელი მოხალისე მიჰყავდა თავისი ურმით ჰოსპიტალში, მათ სროლა აუტეხა ამერიკის თვითმფრინავმა. პაკ ჯე გინმა თავისი სხეულით დაფარა მოხალისე ყუმბარის ნამსხვრევებისაგან დაჭრილი გადარჩა, მაგრამ პაკ ჯე გინი დაიღუპა.

ჩინელი მოხალისის ლო სან-გეს და კორეელი გლეხის პაკ ჯე გინის გმირობა, წერს გაზეთი „ნოდონ სინმუნი", მოწმობს კორეისა და ჩინეთის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. იგი აღაფრთოვანებს კორეის სახალხო არმიის მეომრებსა და ჩინელ სახალხო მოხალისეებს საძულველ მტერთან ბრძოლებში.

## ახალი თეატრი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

**ფხენიანი,** 29 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ხალხური შემოქმედების შესწავლას. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით 1953 წლის წინადღეებში ფხენიანში შეიქმნა კორეის პირველი სახელმწიფო კლასიკური მხატვრული თეატრი. თეატრი შესწავლის და პროპაგანდას გაუწევს კლასიკურ ეროვნულ მუსიკას.

ამ დღეებში ახალი თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა თავისი პირველი დადგმა — კომპოზიტორების პაკ დონ / სირისა და ჯო სან სენის ოპერა „ფლოტის სარდალი ლი სუნ სინი", რომელიც დაწერილია დრამატურგ პაკ ტე ვონის პიესის მიხედვით. ოპერა მოგვითხრობს კორეელი ხალხის ბრძოლაზე იაპონიის შემოსევის წინააღმდეგ XVI საუკუნეში, ცნობილ კორეელ ფლოტის სარდალ ადმირალ ლი სუნ სინზე. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებლები და კორეის პრესა გულთბილად შეხვდნენ მას.

## ამერიკელ ჯარისკაცთა დეზერტირობა

**ნიუ-იორკი,** 29 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, ამერიკის მე-8 არმიის სამხედრო პროკურორმა პოლკოვნიკმა რობერტ ლენსფილდმა განაცხადა, რომ, მე-3 დივიზიის 65-ე პოლკის 97 ჯარისკაცის გარდა, რომლებსაც ამას წინათ მსჯავრი დადო სამხედრო ტრიბუნალმა, დეზერტირობისათვის მსჯავრი დაედო მე-2, 24-ე, 45-ე დივიზიებისა და 1-ლი მოტომექანიზებული დივიზიის ჯარისკაცთა დიდ ჯგუფებს. ლანსფილდმა განაცხადა, რომ მარტო 1-ლ მოტომექანიზებულ დივიზიაში სამხედრო ტრიბუნალმა გაარჩია ჯარისკაცთა „ლაჩრული საქციელის" 100-150 შემთხვევა, რასაც ადგილი ჰქონდა 2 თვის განმავლობაში, და დაახლოებით ამდენივე შემთხვევა მე-2 დივიზიაში.

ლანსფილდმა აღნიშნა, რომ სასამართლოში ჯარისკაცებს უყენებენ სამი კატეგორიის ბრალდებებს: „უღირსი საქციელი" ანუ ლაჩრობა მტრის წინაშე, საბრძოლო პოზიციებზე წასვლაზე უარის თქმა, დეზერტირობა საშიში დავალებისათვის თავის არიდების მიზნით, რაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული. დამნაშავეებს 40 წლამდე პატიმრობას უსჯიან.

## ჩანკაიშელთა ბანდების თარეში ბირმაში

**ბანგკოკი,** 29 იანვარი. (საკდესი). რანგუნიდან მიღებულ ცნობებში ლაპარაკია ბირმაში, ჩინეთ-ბირმის საზღვრის რაიონში ჩანკაიშელთა ბანდების თარეშზე. ამერიკული იარაღით შეიარაღებული გომინდანელები შიშის ზარს სცემენ ადგილობრივ მოსახლეობას, ართმევენ სურსათსა და პირუტყვს და ახდევინებენ „გადასახადებს".

ამას წინათ, როგორც იუწყებიან, ჩანკაიშელთა ბანდებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ ბირმიდან განდევნეს შანის ერთ-ერთი სამთავროს მმართველი მისი სამთავროს დედაქალაქიდან. იგი იძულებული გახდა ოჯახიანად ერთ-ერთ მეზობელ სამთავროში გაქცეულიყო.

გომინდანელთა ბანდები აფართოებენ თავიანთი თარეშის რაიონს. როგორც გაზეთმა „ნიუ ტაიმს ოფ ბირმამ" გამოაცხადა, ჩანკაიშელთა ბანდები, არსებული ცნობებით, ბირმის სამხრეთისაკენ მიიწევენ. ცნობაში აღნიშნულია, რომ იანვრის დამდეგს 700 გომინდანელმა განვლო მონგ-იანგი (50 მილზე კენგ-ტუნგის ჩრდილო-აღმოსავლეთით) სოფელ შიენგოკის (ინდო-ჩინეთი) მიმართულებით და რომ გომინდანელთა მოძრაობა არ წყდება.

გაზეთი „რანგუნ დეილი" შეშფოთებას გამოთქვამს გომინდანელთა ბანდების სამხრეთისაკენ მოძრაობის გამო და აღნიშნავს, რომ ძლიერდება მათი აქტივობა შანის სამთავროებში. გამოთქვამს რა ამის გამო დიდ შეშფოთებას, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გომინდანელთა ბანდების ასეთი აქტივობა ბირმის ტერიტორიაზე მტკიცე მოქმედებას მოითხოვს.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

## ბიუჯეტის დამტკიცება

**პარიზი,** 29 იანვარი. (საკდესი). გუშინ ეროვნული კრების საღამოს სხდომაზე დამტკიცდა 1953 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შეადგენს 3.831 მილიარდ ფრანკს, ხოლო შემოსავლის ნაწილი — 3.751 მილიარდ ფრანკს. მაშასადამე, ბიუჯეტი შედგენილია 80 მილიარდი ფრანკის დეფიციტით. რ. მეიერის მთავრობა აპირებს სწორედ ამ თანხის „ბლოკირებას", ესე იგი მთელ რიგ უმთავრესად სამოქალაქო ღონისძიებათა დაფინანსების დროებით შეჩერებას. მართალია, რ. მეიერმა პირობა დადო მოახდინოს აგრეთვე სამხედრო ხარჯების ერთგვარი ნაწილის „ბლოკირება", მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს სრულიად უმნიშვნელო ნაწილია ბლოკირებულ სამოქალაქო ხარჯებთან შედარებით, მეორე, მოსალოდნელია სამხედრო ხარჯების დებლოკირება 1 აპრილს.

მაგრამ „ბლოკირების" საშუალებითაც ვერ აღწევენ ბიუჯეტის წონასწორობას, რადგან მისი შემოსავლის ნაწილს აკლია 173 მილიარდი ფრანკი, რომლის მიღებასაც მთავრობა ვარაუდობს ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარების" სახით.

დამტკიცებული ბიუჯეტის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იგი უფლებას ანიჭებს მთავრობას საგანგებო დეკრეტების საშუალებით ვადაწყვიტოს სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის დაფინანსების საკითხები. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ დარგებში მთავრობას შეუძლია პარლამენტის დაუდასტურებლად მიიღოს გადაწყვეტილებანი ასიგნობათა შემცირების შესახებ „ეკონომიის" და „ჯანსაღი ფინანსების" შექმნის საბაბით. გარდა ამისა, ამ დეკრეტების საშუალებით მთავრობას შეუძლია თვითნებურად განახორციელოს საგადასახადო რეფორმა, რომელიც, როგორც დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, ითვალისწინებს გადასახადების გადიდებას 280 მილიარდი ფრანკით.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მთავრობას მიენიჭება ფართო უფლებები ყველაზე მნიშვნელოვან საფინანსო საკითხებში.

## საფრანგეთის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი „ევროპის არმიის" ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

**პარიზი,** 29 იანვარი. (საკდესი). დღეს პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობამ ეროვნულ კრებაში შეიტანა კანონპროექტი, რომ რატიფიცირებულ იქნას ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის" და მასთან დაკავშირებული შეთანხმებების შესახებ. ეს ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია 1952 წლის 27 მაისს პარიზში, ითვალისწინებს „ევროპის არმიის" შექმნას საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის შეიარაღებული ძალების შემადგენლობით.

საფრანგეთის დემოკრატიულ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთში „ევროპის არმიის" შექმნის ხელშეკრულებას მხარს უჭერენ მხოლოდ ის მოღვაწენი და პარტიები, რომლებიც უსიტყვოდ დაემორჩილნენ ამერიკის ბატონობას. მაგრამ ისეთ პარტიაშიც კი, როგორიც რადიკალების პარტიაა, რომელსაც ახლანდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რენე მეიერი ეკუთვნის, არიან ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი. ამ პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ ედუარდ ერიომ აშკარად გაილაშქრა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

რენე მეიერის მთავრობა აჩქარდა დასამტკიცებლად შეეტანა ეს ხელშეკრულება პარლამენტში, დაუთმო რა ოკეანისგაღმელთა დაჟინებით ზეგავლენას. 12 იანვარს გაზეთმა „კომბამ" გამოაქვეყნა ცნობა სათაურით „სენატორ უაილის ულტიმატუმი პარიზსა და ბონს". გაზეთი „კომბა" წერდა, რომ სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უაილმა პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებაში „გააფრთხილა" საფრანგეთი და დასავლეთი გერმანია „ევროპის არმიის" ხელშეკრულების რატიფიკაციის დაგვიანების წინააღმდეგ". უაილმა ამით გააგებინა, რომ დაგვიანების შემთხვევაში საფრანგეთი ვერავითარ კრედიტებს ვერ მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

ყოველკვირეული „ობსერვატერი" აღნიშნავდა, რომ „დაჩქარებით შეაქვს რა პარლამენტში ხელშეკრულების რატიფიკაციის პროექტი, მეიერი წინააღმდეგობის გაუწევლად უთმობს ატლანტიკის სარდლობისა და ვაშინგტონის ზეგავლენას".

## დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოს შექმნა

**ბერლინი,** 29 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გუშინ ბერლინში მეცნიერებათა აკადემიის შენობაში გაიმართა დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის კრება. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტი გარდაიქმნას მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოდ.

ეს გარდაქმნა ხორციელდება იმასთან დაკავშირებით, რომ ბერლინში გაფართოვდა მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. ამის გამო გადაწყდა მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოს წევრების რიცხვი გადიდდეს 60-მდე.

კრებაზე არჩეულ იქნა დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოს გამგეობა 22 წევრის, მათ შორის დასავლეთ ბერლინის შვიდი წარმომადგენლის შემადგენლობით.

საბჭოს პირველ თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი ჰავემანი.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ჰავემანმა, რომელმაც ილაპარაკა ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის შესახებ და დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა საბჭოს დაუსახა კონგრესის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები.

## ტერორი სამხრეთ აფრიკის კავშირში

**ლონდონი.** 30 იანვარი. (საკდესი). შეიდ თვეს გრძელდება სამხრეთ აფრიკის კავშირში იმ რასისტული კანონების დაუმორჩილებლობის კამპანია, რომლებიც შემოიღო მალანის მთავრობამ. ეს კამპანია მოიცავს ზანგებისა და ინდოელი მოსახლეობის ფართო მასებს. მთავრობამ დაუმორჩილებლობის კამპანიის მონაწილეებს თავს დაატეხა უსასტიკესი რეპრესიები. ინგლისის გაზეთის „სკოტსმენის" კორესპონდენტის ცნობით, კამპანიის დაწყების მომენტიდან სამხრეთ აფრიკაში დაპატიმრებულია 9 ათასზე მეტი კაცი. დაპატიმრებულთ ფიზიკურად სჯიან.

იმისათვის, რომ ჩაახშონ საპროტესტო მოძრაობა, 26 იანვარს იუსტიციის მინისტრმა სვარტმა სამხრეთ აფრიკის კავშირის პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი „საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ", რომელიც უფლებას ანიჭებს მთავრობას შემოიღოს სამხედრო ან საგანგებო წესები მთელ სამხრეთ აფრიკაში ან მის რომელიმე რაიონში. ამ კანონპროექტის შესაბამისად სვარტი უფლებას იღებს აკრძალოს ყოველგვარი ორგანიზაცია, მოახდინოს დაპატიმრებანი უორდეროდ, გამოაცხადოს ამ ქვეყნის ესა თუ ის რაიონი „საშიშროების კერად", გაგზავნოს ადამიანები საკონცენტრაციო ბანაკებში და განახორციელოს ცენზურა მთელ პრესაზე. ამასთან იგი არ აგებს პასუხს პარლამენტის წინაშე თავისი მოქმედებისათვის.

მალანის მთავრობის მიერ შემოღებულმა რეჟიმმა აღშფოთება გამოიწვია სამხრეთ აფრიკაში. ლეიბორისტმა რაუტმა ამ დღეებში ლეიბორისტული პარტიის იოჰანესბურგის კონფერენციაზე განაცხადა, რომ მთავრობამ „მოაწყო საზიზღარი შეთქმულება, რათა სისხლში ჩაახშოს დაუმორჩილებლობის კამპანია".

დუგბანის გაზეთი „ნატალ მერკური" წერს: „თუ პარლამენტი დაუშვებს, რომ ეს კანონპროექტი მიღებულ იქნას.. პარლამენტი ამით ხელს შეუწყობს თავის საკუთარ დაღუპვას".

## ამერიკის საიდუმლო პოლიციის პარპაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

**ნიუ-იორკი,** 29 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლოჯმა განაცხადა, რომ ფედერალურ ხელისუფლებს განზრახული აქვთ დაუყოვნებლივ შეუდგნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2.000 ამერიკელი მოსამსახურის „ლოიალობის შემოწმებას". გარდა ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამერიკელმა მოსამსახურეებმა უნდა დატოვონ თითების ანაბეჭდი იმ ჩვეულებრივი პროცედურის შესაბამისად, რომელსაც გადის ყველა, ვინც მუშაობას იწყებს შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოებში. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (ამერიკის საიდუმლო პოლიცია) აგრეთვე უნდა დაიწყოს ხვალ 300 ამერიკელის შემოწმება, რომლებსაც უფრო მაღალი პოსტები უკავიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამერიკელ მოსამსახურეთა თითების ანაბეჭდების გადაღება წარმოებს სპეციალური ექსპერტის მეთვალყურეობით.

## იტალიის ხელისუფალთა თვითნებობა

**რომი,** 29 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ ზოგიერთ ქალაქში ხელისუფალნი მიმართავენ რეპრესიულ ღონისძიებებს იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო „რეფორმის" პროექტის წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვებში. მაგალითად ქალაქ ტერნის პრეფექტმა დააჯარიმა ზოგიერთი ადგილობრივი ვაჭარი, რომლებმაც დახურეს თავიანთი მაღაზიები გაფიცულებთან სოლიდარობის ნიშნად. ტარანტოს პრეფექტმა ბრძანება გასცა მოახდინონ კვლევა-ძიება და მიიღონ ადმინისტრაციული სასჯელის ზომები მუნიციპალური საბჭოს იმ მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც გაფიცვაში მონაწილეობდნენ. პრეფექტის განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენებულია ქალაქ სპეცანო-ალბანეზეს (კოზენცის პროვინცია) მერი, რომელმაც უარი თქვა გაეცა განკარგულება წაეშალათ სახლების კედლებზე და ქალაქის ტროტუარებზე წარწერები საარჩევნო „რეფორმის" პროექტის წინააღმდეგ.

## ერაყის ახალი მთავრობა

**ლონდონი,** 29 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, ერაყის სენატის თავმჯდომარემ ჯამილ მადფაიმ, რომელსაც წარსულში არაერთხელ ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი, შეადგინა ერაყის ახალი მთავრობა. იგი შეცვლის „გარდამავალი პერიოდის" მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგას ერაყის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ნურედინ მაჰმუდი და რომელიც 1952 წლის ნოემბერში შეიქმნა ერაყში ანტიიმპერიალისტური გამოსვლების ჩასახშობად.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ნურედინ მაჰმუდის მთავრობა გადადგა პარლამენტის მორიგი არჩევნების შემდეგ.

## სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის მატჩში

29 იანვარს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გათამაშდა მ. ბოტვინიკ — მ. ტაიმანოვის შეჯიბრების დაუმთავრებელი მესამე პარტია.

მსოფლიოს ჩემპიონის მიერ ჩაწერილმა 41-ე სვლამ უაღრესად მწვავე პოზიცია შექმნა პარტიაში. ტაიმანოვმა არაზუსტი სვლა გააკეთა, რამაც საშუალება მისცა ბოტვინიკს განეხორციელებინა მოხდენილი კომბინაცია და მოეგო ლაზიერი ეტლსა და მხედარში. მაგრამ თეთრებს მეექვსე ხაზზე დარჩათ ძლიერი გამვლელი პაიკი, რაც ათანაბრებდა მხარეთა მდგომარეობას.

56-ე სვლაზე გროსმაისტერებმა პარტია ყაიმით დაამთავრეს.

ამრიგად, ანგარიშია 2:1 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. (საკდესი).

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუქარესტში

**ბუქარესტი,** 29 იანვარი. (საკდესი). დღეს გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მესამე ტური. რთული ბრძოლის შემდეგ ლ. საბო (უნგრეთი) — პეტროსიანის (სსრ კავშირი), სმისლოვ (სსრ კავშირი) — ჩოკოლტიას (რუმინეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

საბჭოთა კავშირის ოსტატმა ტოლუშმა 41-ე სვლაზე კარგი სტილით მოუგო რეიხერს (რუმინეთი). ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) 43-ე სვლაზე დაამარცხა შ. საბო (რუმინეთი), ოკელი (ბელგია) — შაიტარის (ჩეხოსლოვაკია) პარტია მე-17 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. საბჭოთა მოჭადრაკემ სპასკიმ მილევთან (ბულგარეთი) გათამაშებულ პარტიაში კარგი პოზიცია მიიღო პარტიის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ შეცდომა დაუშვა და პაიკი დაკარგა. პარტია გადაიდო.

გადადებულ პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერ ბოლესლავსკის უპირატესობა აქვს შტოლცის (შვეცია) წინააღმდეგ. გადაიდო აგრეთვე სლივა (პოლონეთი) — ბარცას (უნგრეთი), ბარდა (ნორვეგია) — ტროიანესკუს (რუმინეთი), გოლომბეკ (ინგლისი) — რედულესკუს (რუმინეთი) პარტიები.

## გეოგრაფიულ საზოგადოებაში

საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებაში 31 იანვარს შედგება პროფესორ ბესარიონ ივანეს-ძე ყავრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა. სხდომას შესავალი სიტყვით გახსნის აკადემიკოსი ა. ჯავახიშვილი. წაკითხულ იქნება მთელი რიგი მოხსენებები პროფესორ ბ. ყავრიშვილის გამოკვლევებისა და მოღვაწეობის შესახებ.

**რედაქტორი გ. მერკვილაძე.**

## საქართველოს რადიოგადაცემათა 1 თებერვლის პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 06.45 — კომპოზიტორ ზახაროვის სიმღერები; 11.00 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება; 11.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.15 — კონცერტი ვ. დავიდოვას შესრულებით; 12.45 — კამერული მუსიკის კონცერტი; 14.45 — „კვირის ახალი ამბები" რუსულ ენაზე; 16.00 — ლიტერატურული გადაცემა — ა. ჩეხოვის მოთხრობა „დათვის" რადიოინსცენირება; 16.35 — საესტრადო მუსიკის კონცერტი; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში"; 17.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის; 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ხალხური ზღაპარი „პატარა მალხაზი". **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 20.50 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით; 00.05 — ვალსები.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 31 იანვარს | ზ. ფალიაშვილი — **დაისი** |
| 1 თებერვალს | დღის 12 საათზე<br>ი. მოროზოვი — **ექიმი აიბოლიტი**<br>საღამოს<br>ზ. ფალიაშვილი — **დაისი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.


## დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ადამიანებო, იყავით ფხიზლად! (12 ს.), ქარიშხლის წინ (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა (12 ს.), რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ვასა ჟელეზნოვა (აბონემენტი 7, 8); **სომხური დრამის** — ბ. ნერსესიანის შემოქმედებითი საღამო; **მუსიკალური კომედიის** — შურისმაძიებელი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გარდატეხა (აბონემენტი 35, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (6 ს. 30 წ.); **თოჯინების** — ხაფანგში (2 ს.); **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ეფროსინე ლუკას ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ეფროსინე ლუკას ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას.

დედა დომნიკო ალასანია, მეუღლე შალვა გურგენიძე, დეიდაშვილები ვ. გაბელია, შ. გოროშიძე ოჯახებით, მული ვ. გურგენიძე იუწყებიან **ლუბა ესტატეს ასულ გურგენიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-II, 8 ს. გამოსვენება 3-II, 5 ს. გოგებაშვილის ქ. № 36.

საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის ელდარის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები იუწყებიან **კატო გიორგის ასულ ცომაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-II აბაშაში.

საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **კატო გიორგის ასულ ცომაიას** გარდაცვალებას.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, [illegible] — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, [illegible] — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ს. ბ. [illegible] ლენინის ქ. № 14. უე 00922